

**თიბისი ბანკმა ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001
გაიღო**

პრესრელიზი

თბილისი, 10 აგვისტო, 2009 –თიბისი ბანკი კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული სერტიფიკატის - ISO 9001-ის მფლობელი. ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერმა კომპანიამ SAI GLOBAL, თიბისი ბანკის მენეჯმენტის ხარისხის სისტემა შეაფასა და ბანკს ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 : 2008 მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატი მიანიჭა.

თიბისი ბანკი ხარისხის მართვის სისტემაში სერტიფიცირებული პირველი ბანკია საქართველოში. პირველი ISO 9001 სერტიფიკატი, ბანკს 2007 წელს გადაეცა. წელს კი, ამ სერტიფიკატის კვლავ მინიჭებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა კომპანიის საერთაშორისო აღიარება და მომსახურების ხარისხის მართვის სისტემის წარმატებულობა.

კომპანია SAI GLOBAL ჩამოყალიბდა 1922 წელს და დღესდღეობით წარმოადგენს მსოფლიოს ლიდერ სერტიფიკაციის ორგანოს. დღეს მსოფლიოში ISO 9001 სტანდარტით სერტიფიცირებულია 500,000-ზე მეტი ორგანიზაცია, მათ შორის ისეთი ცნობილი კორპორაციები და ბრენდები, როგორცაა: ბარკლაის ბანკი, ბოში, ქენონი, ბიპი, ჯენერალ მოტორსი, უილფი, ჰენკელი, კოდაკი, მაზდა, სიმენსი, პეჟო, მიცუბიში, სონი, ნესტლე და სხვ.

ISO 9000 სერიის სტანდარტები მსოფლიოს მასშტაბით არის აღიარებული და მათი დანერგვა ხელს უწყობს წარმოების ორგანიზების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ხარისხის სფეროში მიზნის მისაღწევად.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ელ-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B

Moody's: B 3 and Ba 1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი აერძო პირები.